პოლიტიკური პოპულიზმის რეპრეზენტაცია სოციალურ მედიაში

ნინო წურწუმია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

გამოყენებითი უცხო ენები და საერთაშორისო მოლაპარაკებები/ეკონომიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სალომე ლაფაჩიშვილი, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო წურწუმია

02.07.2020

აბსტრაქტი

მსოფლიოს მასშტაბით ბოლო პერიოდში დიდი ინტენსივობით გამოიყენება სიტყვა პოპულიზმი. თუმცა, აღნიშნული ტერმინის ბუნდოვანებიდან გამომდინარე, მისი განხილვა კომპლექსურ საკითხს წარმოადგენს. წინამდებარე ნაშრომში პოპულიზმი, დღესდღეობით საქართველოში დამკვიდრებული ნეგატიური კონოტაციისაგან განსხვავებით, განხილულია როგორც სოციოლინგვისტური ცნება, რომელიც წარმოადგენს პოლიტიკური იდენტობის გამომხატველ სტრატეგიას. ნაშრომში პოლიტიკური პოპულიზმის ანალიზი ხორციელდება სოციალური ქსელების ტექსტის კორპუსის საფუძველზე, კერძოდ, შესწავლილია ჯასტინ ტრუდოს, დონალდ ტრამპისა და ქართველი პოლიტიკოსების, გიორგი გახარიას, კახა კალაძის, ალექსანდრე ელისაშვილის დისკურსი ფეისბუქის, ინსტაგრამისა და ტვიტერის ენობრივი კორპუსის ფარგლებში. პოლიტიკური კომუნიკაციის დისკურსული მეთოდები იძლევა საფუძველს პოლიტიკური იმიჯის შექმნის კუთხით დავაკვირდეთ მათ, როგორც პოლიტიკურ აქტორებს.

საკვანძო სიტყვები: პოპულიზმი, სოციალური მედია, პოლიტიკური დისკურსი, პოლიტიკური იმიჯი, სოციოლინგვისტიკა

Abstract

Lately the word populism has been used extensively around the world. However, due to the ambiguity of the term, its discussion presents a complex issue. In this paper, populism, unlike the negative connotations that it has in Georgia today, is seen as a sociolinguistic concept that represents a strategy for expressing political identity. The paper analyzes populism on social networking platforms: posts published by Justin Trudeau, Donald Trump and Georgian politicians on Facebook, Instagram and Twitter are discussed. Discursive and sociolinguistic methods of political communication of these actors provide a basis for observing their presence on social media platforms in terms of creating a political image.

Keywords: populism, social media, political discourse, political image, sociolinguistics

მადლობა

წინამდებარე ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისათვის დიდ მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულ ლექტორს, ქალბატონ სალომე ლაფაჩიშვილს, რომლის ლექციები, აკადემიური თუ ადამიანური რჩევა-რეკომენდაციები სამაგისტრო კურსის მანძილზე ყოველთვის გამოირჩეოდა. მოცემული ნაშრომი შეიქმნა პანდემიის რთულ პერიოდში, ამიტომაც, მინდა ასევე განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩემს მეგობრებსა და ოჯახის წევრებს, რომლებიც მუშაობის პროცესში სისტემატიურად მამხნევებდნენ, გვერდში მედგნენ და მხარს მიჭერდნენ.